**1.6.1.2.6. სელის კულტურის გეოპოლიტიკური კონტექსტი ძველ კოლხეთში.** /დ. ლომიტა-შვილი/. სამხრეთ კავკასია – არქეოლოგიური კონტექსტი. – 2020. – #1. – გვ. 13-26. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ნოქალაქევის ექსპედიციის მონაპოვარმა, საგულისხმო მასალა მოგვცა კოლხეთში სელის წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით. ნოქალაქევის ნაქალაქარის ქვედა ტერასის ცენტრალურ და აღმოსავლეთ მონაკვეთებზე (სადაც ქ.წ. VIII-I სს. დათარიღებული არქეოლოგიური ძეგლების განსაკუთრებული კონცენტრაცია შეინიშნება), უამრავ სხვადასხვა ფორმისა და მასალის კვირისტავთან ერთად, ვერტიკალური საქსოვი დაზგის თიხის პირამიდული საწაფები გამოვლინდა. კოლხეთში არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული და მოცემულ სტატიაში ჩამოთვლილი ნიმუშები, დაწყებული ქ.წ. II ათასწლეულიდან, ელინისტური ხანის ჩათვლით, მხარს უჭერს, ე.წ. ვერტიკალური საქსოვი დაზგების გავრცელება-გამოყენების თეორიას. ჩვენ ვემხრობით იმ მოსაზრებას, რომ კოლხეთში, სხვადასხვა პერიოდის ძეგლებზე აღმოჩენილი კერამიკული პირამიდული საწაფები, ნამდვილად ვერტიკალური საქსოვი დაზგების საკიდრებია. არქეოლოგიური მონაცემები დროის თვალსაზრისით უპირატესობას ვერტიკალურ საქსოვ დაზგებს ანიჭებს. რაც შეეხება ჰორიზონტალურ საქსოვ დაზგას, ის ცხადია, გარკვეული დროიდან ვერტიკალურ დაზგასთან თანაარსებობს. ნოქალაქევის ნაქალაქარზე გამოვლენილი მონაპოვარი შეიძლება ჩაითვალოს კიდევ ერთ მტკიცებულებად ჰიპოთეზისა, რომ ქართული საქსოვი დაზგები, რომლებიც სიღრმისეული თვითმყოფადობით ხასიათდება, ისტორიულად ვითარდებოდა და უმჯობესდებოდა; მათი განვითარების პროცესები არ მიმდინარეობდა იზოლაციის პირობებში. ისინი თავიანთი საწყისი ფორმებით ძველი ხალხების კულტურულ მონაპოვართა წრეში ექცევა. ლიტ. 39.

ავტ.

**1.6.1.2.7. ახალი აღმოჩენები ორთვალა კლდეში, პალეოლითის ახლებური ხედვა და კვლევის ახალი ამოცანები.** /ნ. თუშაბრამიშვილი/. სამხრეთ კავკასია – არქეოლოგიური კონტექსტი. – 2020. – #1. – გვ. 43-71. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ჯერ კიდევ 1994 წელს გამოითქვა მოსაზრება მასზე, რომ საქართველოში არსებობდა შუა პალეოლითიდან ზედა პალეოლითზე გარდამავალი პერიოდი, რომ შესაძლოა თანამედროვე და ნეანდარტალელი ადამიანები თანაცხოვრობდნენ, თანაარსებობდნენ. 2018 წლის მიწურულს საზღვარგარეთ ჩატარებულმა ახალმა ლაბორატორიულმა კვლევებმა ფაქტიურად დაადასტურა განსაზღვრული ეპოქები, მიახლოებითი თარიღები და თანაარსებობის თეორიული ვარაუდი. ანუ, დღეს უკვე მულტიდისციპლინური კვლევების შედეგად საფუძვლიანად სავარაუდოა, რომ შუა პალეოლითური ინდუსტრია შესაძლოა, ეკუთვნოდეს ნეანდერტალელებსაც და ჰომო საპიენსებსაც. მოცემული დეფინიცია შეცვლის მსოფლიო პრეისტორიკოსების დამოკიდებულებას შუა პალეოლითის ინდუსტრიებისადმი. აუცილებელია საქართველოს პალეოგარემოს გარკვეული საკითხების ხელახალი შესწავლა, მით უმეტეს, რომ ორთვალა კლდეში სულ ახლახან აღმოჩნდა პლეისტოცენის ეპოქის მაკაკას ნაშთი. სტატიაში, აგრეთვე, მოცემულია კვლევის შედეგები, რომლებიც ადასტურებს ორი პოპულაციის - ნეანდერტალელებისა და თანამედროვე ადამიანების თანაცხოვრებას ორთვალა კლდეში. სურ. 20, ცხრ. 11, ლიტ. 56.

ავტ.

**1.6.1.2.8. რეცენზია მ. კაზანსკის სტატიაზე - ფარით დამარხვის წესები გვიანანტიკური ხანის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში.** /ი. ანჩაბაძე/. სამხრეთ კავკასია – არქეოლოგიური კონტექსტი. – 2020. – #1. – გვ. 72-79. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ნაშრომში განხილულია შავი ზღვისპირეთში (მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიაზე) აღმოჩენილ გვიანანტიკური ხანის რამდენიმე უმბონიან სამარხი და აღნიშნულია სამარხში ჩაყოლების, ე.წ., გერმანულ, თრაკიულსა და რომანიზებული აღმოსავლეთის ტრადიციების რამდენიმე სავარაუდო წარმომავლობა. სტატიაში კრიტიკული განხილვის შედეგად, მთელ რიგ

არქეოლოგიურ ფაქტებზე დაყრდნობით მოცემული რეცენზია აღნიშნული ტრადიციის მყარი, ადგილობრივი ფესვების არსებობაზე მიუთითებს. ლიტ. 21.

ავტ.

**1.6.1.2.9. პიტიახშები ანტიკური ხანის იბერიაში.** /ზ. ბრაგვაძე/. სამხრეთ კავკასია – არქეოლოგიური კონტექსტი. – 2020. – #1. – გვ. 80-93. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
1902 წელს, სოფელ ბორში ნაპოვნი არქეოლოგიური არტეფაქტები ინახება სანკტ-პეტერბურგის „ერმიტაჟში". მასალებს შორის განსაკუთრებით საინტერესოა ვერცხლის თასი არამეული წარწერით: „კეთილი პიტიახშ ბუზმიჰრი". ამ წარწერით ცნობილი გახდა, რომ რომაული ეპოქის იბერიის სამეფოში არსებობდა პიტიახშის ინსტიტუტი. რა თქმა უნდა, საინტერესოა, არის თუ არა პიტიახშის საძვალე ის სამარხი, რომელშიც აღმოჩნდა აღნიშნული ნივთი. საქმე ის არის, რომ ბორში არ გვხვდება სარკოფაგები და აკლდამები, მხოლოდ ორმოსამარხებია, რაც ჩემი აზრით, გამორიცხავს აქ პიტიახშის განსასვენებლის არსებობას და ის მდიდრული ინვენტარიც, რომელიც აღმოჩენილია წარწერიან თასთან ერთად, პიტიახშის საკუთრება არ არის. უფრო სარწმუნოა, რომ ეს თასი პიტიახშ ბუზმიჰრის ნაჩუქარია. რომაული ხანის იბერიის სამეფოში მსგავსი შემთხვევა არაერთია ცნობილი. კონკრეტულად სად არის ბუზმიჰრ პიტიახშის სამარხი? ამ კითხვაზე პასუხი ჯერ არ არის ცნობილი. სტატიაში სხვა საკითხებთან ერთად განხილულია არმაზისხევის სამაროვნის პიტიახშების ქრონოლოგიური რიგი და გამოთქმულია ვარაუდი, რომ პიტიახშები დაკრძალული არიან მხოლოდ ნომერ 1, 2 და 3 სამარხებში. ასევე მოცემულია პიტიახშის სამარხებისა და არმაზისხევის ნაგებობების ურთიერთმიმართების საკითხი და გამოთქმულია მოსაზრება, რომ შენობები სამარხებზე ადრეულია. I საუკუნის 70-იან წლებში (არა უგვიანეს ქ.შ. 75 წ.) საცხოვრებელი განადგურდა მიწისძვრის შედეგად და მას აქეთ ეს ტერიტორია გამოიყენებოდა არმაზისხევის პიტიახშებისა და მათი ოჯახის წევრების სასაფლაოდ. ლიტ. 43.

ავტ.

**1.6.1.2.10. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ხელოვნურად დეფორმირებული ადრეული შუა საუკუნეების თავის ქალების წარმომავლობა და ისტორიული მნიშვნელობა.** /ნ. თავართქილაძე/. სამხრეთ კავკასია – არქეოლოგიური კონტექსტი. – 2020. – #1. – გვ. 94-116. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
ნაშრომში „სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ხელოვნურად დეფორმირებული თავის ქალების წარმომავლობა და ისტორიული მნიშვნელობა" შესწავლილია სამთავროს სამაროვანზე ადრეული შუა საუკუნეების დღემდე მოპოვებული ნორმალური და ხელოვნურად დეფორმირებული თავის ქალები, რომლებიც დაცულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიაში. თავის ქალების გარდა გამოყენებულია ამავე ინსტიტუციაში დაცული კრანიოლოგიური კატალოგი და ყოველი თავის ქალას ინდივიდუალური ბლანკი. ნაშრომი, ასევე ეყრდნობა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში არსებული დავთრების ინფორმაციას, რომელთა საფუძველზე მოპოვებულია ცნობები სამთავროს სამაროვნის ადრეული შუა საუკუნეების სამარხების ტიპების, დაკრძალვის წესისა და არტეფაქტების შესახებ. ნაშრომში განხილულია თავის ქალას დეფორმაციის ტიპები, დაკრძალულთა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, ფიზიოლოგიური სტრესის მარკერები და ანომალიების სიხშირე ამ პერიოდის მოსახლეობაში. ასევე განსაზღვრულია ინვენტარის გადანაწილება დეფორმანტთა და არადეფორმანტთა შორის იმის დასადგენად იყვნენ თუ არა დეფორმანტები ელიტარული ფენის წარმომადგენლები. შედგენილია ცხრილები სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული დეფორმირებული და არადეფორმირებული თავის ქალების სქესისა და ასაკის განაწილების მიხედვით, რაც ნათელ სურათს იძლევა დეფორმანტთა და არადეფორმანტთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. დეფორმაციის მიზეზის დასადგენად განხილულია ისტორიული წყაროები